




პროლეტარულ წვალა მკაცრად, ვაერთდით!



საპროლეტარულ სსრ უმთავრესი კლასისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარულ რესპუბლიკურ სახელმწიფო ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 თებერვალი, ხუთშაბათი, 1989 წ.

№ 38 (9957) 3 ჰაბი

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩამოშლის შემდეგ წაღებული

თბილისის „დინამო“ ლიდერია

განახლდა წყალბურთელთა 45-ე საკავშირო ჩემპიონატი. პირველი წრის მეორე ტურის მატჩებს გუნდები ბაქსა და ლვოვში ატარებენ.


ბათუმი. თბილისის „დინამომ“ ახალი მწვერულის გ. ჩიქვაიას ხელმძღვანელობით აშკარად უმატა თავის სასტარტო მატჩში ჩვენი წყალბურთელები ალმათის ღინამოელებს შეხვდნენ. თბილისელებმა კარგად ჩაატარეს პირველი

რო მშვიდად ვითარდებოდა და ფავორიტებმა ცატურნირი ცხრილში მორბევი გამარჯვებები ჩაიწერეს. ლვოვის „დინამომ“ დაამარცხა ხარკოვის „ლოკომოტივი“ 9:7 (3:1, 2:2, 2:2, 2:2). ტურის სხვა ორი მატჩი ასე დათავრდა: ცსკა — „ტორპედო“ (მოსკოვი) 12:5 (4:1, 3:0, 2:0, 3:4), უნივერსიტეტი (მოსკოვი) — შვი ზღის წითელ-დროშოვანი ფლოტილია (სევასტოპოლი) 9:4 (1:2, 3:0, 1:1, 4:1).

ბათუმის ცხრილი

„დინ.“ (ლვ.)	6	4	1	1	52-50	9
ცსკა	6	4	0	2	66-44	8
უნივ. (შ.)	6	3	1	2	51-38	7
ქივ (ხევსტ.)	6	2	1	3	50-55	5
„ტორპ.“ (შ.)	6	1	3	2	42-52	5
„ლოკ.“ (ხარკ.)	6	1	0	5	44-58	2

როგორც ხედავთ, მეორე ტურის სასტარტო მატჩების შემდეგ ლი-



და მესამე პერიოდები, რამაც საბოლოო გამგეობა, როგორც გუშინ გაუწყვეთ, განაპირობა კიდევ მათი წარმატება. ჩვენმა წყალბურთელებმა გამარჯვების ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივთან მძაფრ და პრესტიჟულ ბრძოლაში 8:7 (1:0, 3:3, 2:1, 2:3).

მთლიანდელი შედეგით დამთავრდა მოსკოვის „დინამოსა“ და „მოსკვირის“ მატჩი. ლვოვის საწინააღმდეგოდ დინამოელებმა ქულა დაკარგეს — 8:8 (2:2, 3:2, 2:3, 1:1). ადგილობრივმა კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილის გუნდმა დაამარცხა კიევის „დინამომ“ 5:3 (2:2, 2:0, 1:1, 0:0).

ბათუმის ცხრილი

„დინ.“ (თბ.)	6	5	0	1	46-45	10
„დინ.“ (მოსკ.)	6	4	1	1	68-52	9
„დინ.“ (ა-ათა)	6	3	1	2	44-40	7
„დინ.“ (კიევი)	6	1	3	2	43-44	5
კქვ (ბაქო)	6	1	1	4	42-56	3
„მოსკვირი“	6	0	2	4	37-48	2


ღვთისმშობლის შეგვიბრუნებს პირველ დღეს ამ ჯგუფში მოვლენები უფ.

პირველი ლიგის წყალბურთელთა თბილისში მიმდინარე ტურის მატჩების მახალა იხილეთ მე-4 გვერდზე.

ლეილა მესხა ამჯერადაც კარგად დაიწყო

აუშ-ში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირები. უნიტო (აუშ). სულ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა „ვარჯიშია სლიმის“ სერის ერთ-ერთი პირ-

ველი შეგვიბრუნებს და აი ახლა, იმავე სერის მეორე ტურნირი დაიწყო, რომელშიც ასპარეზობს ჩვენი თანამემამულე ლეილა მესხი. პირველი ბრძოლა მესხმა მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების წა-



ეროვნული გიგლიორთიკა

გეოსა ტრადიციული...

შს მართლაც ძიუდოს გეოსა-ტი ზეიმი იქნება. თბილისის სპორტის სახელმწიფო მეთოდ მასპინძლობს ტრადიციულ ტურნირს, რომელშიც, როგორც წესი, მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები მონაწილეობენ ზოლმე. წინა წლებში თბილისის ტრადიციულ თავიანთი დახვეწილი ოსტატობა ოცდაათზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს უჩვენებდათ და უკმაყოფილო ჩვენი დედაქალაქიდან არაფერს წასულა. წლებგანდელ ასპარეზობაში გამოსვლის სურვილი გამოთქმეს ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, ბრაზილიის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის, ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, მო-

ნგოლეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ათლეტებმა. შეგვიბრუნებინა ცალკე კოლექტივებს გამოიყვანს საბჭოთა კავშირი და საქართველო. ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოსისტი ლირსებას 40-მდე გამოცდილი და ახალგაზრდა ფალავანი დაიცავს. ზოგისთვის, უფრო გამოცდილი ძიუდოსისტებისთვის, ეს ტურნირი ახალი ოლიმპიური სამზადისის თანწლიანი ციკლის ერთ-ერთი სერიოზული სტარტი იქნება, ახალგაზრდებისთვის კი თავისებური სასიხვი ქვა, რომელმაც წარმატების შემთხვევაში მათ დიდი სპორტის საგზური უნდა მისცეს. გათავაზობთ თბილისის XX ტრადიციული ტურნირის შეგვიბრუნება განიგებს:

23 თებერვალი. მძიმე და 95 წონითი კატეგორიები. წინასწარი შედეგები — 13-18 საათი. ნახევარფინალები და ფინალები — 18.30 — 21.00 საათი.

24 თებერვალი. 86 და 78 წონითი კატეგორიები. წინასწარი შედეგები, ნახევარფინალები და ფინალები — 13-21 საათი.

25 თებერვალი. 71 და 65 წონითი კატეგორიები. წინასწარი შედეგები, ნახევარფინალები და ფინალები — 13-21 საათი.

26 თებერვალი. 60 და აბსოლუტური კატეგორია. წინასწარი შედეგები, ნახევარფინალები და ფინალები — 13-21 საათი.

№ 3 33

ბათუმის „დინამო“

არის კიდევ ერთი საფინანსო კლუბი

ამ დღეებში გაიმართა ბათუმის „დინამოს“ საფინანსო კლუბის დამფუძნებელი კრება. გუნდის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება, მის ბაზაზე შექმნილი კლუბი საქმიანობას წარმოადგენს სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების საფუძველზე, გამოიყენებს ინდივიდუალური საწვევო ანგარიშებისა და კლუბის სამეურნეო საქმიანობიდან შემოსულ რესურსებს. კლუბისადმი დახმარების გაწევა იკისრებს საქართველოს საზღვაო-საინჟინრო, საავიაციო-ბაზულის ფაბრიკის, მანქანათმშენი, ხილვების წყლებისა და ლუდის, რძის ქარხნებისა და ქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. მეორე ასეთ საწარმოში უკვე შეიქმნა „დინამოს“ ფინანსური კლუბის საბუთები.

შემდგომში კი მის შემოსავალს შეადგენს ინდივიდუალური და კოლექტიური საწვევო გადასახადი, ყველა სახის ფასიანი მომსახურების, საკავშირო და საერთაშორისო შეგვიბრუნების, ამხანაგური მატჩების შემოსავალი, აგრეთვე, ერთგულების ლატარიის მოგებისა და რეკლამის შემოსავლის გარკვეული პროცენტი. დამფუძნებელმა კრებამ აირჩია კლუბის საბუთი. პრეზიდიუმი და საარევიზიო კომისია. კლუბის პრეზიდენტად აირჩიეს აჭარის ასსრ განმრთვლების დაცვის მინისტრი გ. ცივაძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად — კ. ჩხატარაშვილი.

კრების დასასრულს „დინამოს“ ფინანსური კლუბი ბათუმის „დინამოს“ ანგარიშსწორების ანგარიშში № 270054 აჭარის საბინაო-სოცხანკის რესპუბლიკურ სამმართველოში. მსურველებს, საცხოვრებელი ადგილის განურჩევლად, შეუძლიათ შესატანი თანხა აღნიშნულ ანგარიშზე გადარიცხონ.

კრების დასასრულს „დინამოს“ ფინანსური კლუბი ბათუმის „დინამოს“ ანგარიშსწორების ანგარიშში № 270054 აჭარის საბინაო-სოცხანკის რესპუბლიკურ სამმართველოში. მსურველებს, საცხოვრებელი ადგილის განურჩევლად, შეუძლიათ შესატანი თანხა აღნიშნულ ანგარიშზე გადარიცხონ.

გუზი...


გავშვთა კალათბურთის სახალხეში (კიროვის პარკი) გაიმართა უმაღ-

ლები ლიგის კალათბურთელ ვაუთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: „დინამო“ (თბილისი) — ვივ (რიგა). გაიმარჯვეს თბილისელებმა — 85:84 (47:51).



რუსულან ზოფერია.

კრანოდარში დამთავრდა საკავშირო თანხის გათავაზება ბატუტზე ხტომში. სინქრონულ ხტომეში, ელენა კოლომეცთან (ქ. ნიკოლაევი) ერთად პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა რუსულან ზოფერიამ (გარდა ამისა, იგი მეორე იყო ინდივიდუალურ ხტომეში). მეორე ადგილზე გავლდა ციდევი ჩვენი ორი გოგონა — ანა დოლონაძე და ლია ბენდიანიშვილი.



ანა დოლონაძე (მარცხნივ) და ლია ბენდიანიშვილი.

ამ შეგვიბრუნების შესახებ დაწერილებით „ლეილა“ უახლოეს ნომერში გისაუბრებთ.

პინკ ბალაჰმარის იღბა

1919 წლამდე ქუთაისში ფინიკური კულტურა ნაკლებად იყო ვხვდებით. ქალთა წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი, სადაც მე ვსწავლობდი, ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ ფინიკური კულტურის გავრცელება არ გვიტარებდა. როგორც მახსოვს, სხვა გიმნაზიებშიც ასეთი მდგომარეობა იყო. გამონაკლისი გახლდათ მხოლოდ რეალური სასწავლებელი, სადაც მასწავლებლად მუშაობდა ვინმე ისონ გაბაშვილი, და სხვა საკლასო ცხრილში ტანვარჯიშის გაკვეთილები ჰქონდა.

და აი, დადგა 1919 წელი. მე უკვე მეშვიდე კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა იმ ზაფხულს თბილისიდან ჩამოვიდნენ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „ტანვარჯიშის“ საზოგადოება „შეგარდენის“ წევრები. მათი უფროსი, „გარჯიშის“ იყო გიორგი ეგნატაშვილი — ყოფილი საზოგადოება „სოკოლის“ წამყვანი მოვარჯიშე. „შეგარდენის“ ჩამოვიდა თავისი ვაგონით, სრული შემადგენლობით (ქალები, ვაჟები) და სასულიერო ორგანიზაციის თანხლებით, რომელსაც მიზანდარი ხელმძღვანელობდა.

სტუდენტები ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში დაბინავდნენ და იქვე ეზოში გააერთიანეს ხიდი ტანვარჯიშის გამოსვლა.

ჯერ ერთობიად დაწყობილმა ქალებმა და ვაჟებმა სახეიმი მარშის ხმაზე შემოუარეს ეზოს. შემდეგ გამოვიდნენ მარტო ქალები. მათ ხელში ეჭირათ დიდი, წითელი ჩინური მარათები. ქალებმა მელოდიას ააყიეს თავისუფალი გარჯიში, რომელიც ძალიან ლამაზი ხანაზავი იყო, როცა ვაჟების ჯერი დადგა, მათ გატეხილი მკლავებით შეასრულეს ათლეტიკური ილეთები — საჯან შემდგარი თავისუფალი გარჯიშები. შემდეგ გამოიტანეს საგარჯიშო იარაღები. ქალებმა სხვადასხვახარისხის ხტომები და ხელყურები შეასრულეს, ვაჟებმა კი ლერძებ, ორქვებს და სახელურების ტიპზე ივარჯიშეს. მამაკაცებში გამოიჩინებოდა ერთი ტანვარჯიში, კუნთმავარი ვაჟები, რომელიც ძალიან კარგად გარჯიშობდა ყველა იარაღზე. ღერებზე იგი ხშირად და მოხდენილად ასრულებდა აღმართულ სიბრტყეს და ამოტყავდა. დაგვიანტერესა მისმა ვინაობამ, გავიკითხეთ და გვითხრეს, გიორგი ნიკოლაძეა. დასასრულს, ქალებმა და ვაჟებმა ერთად, მუსიკალური თანხლებით შეასრულეს საცეკვაო ნაბიჯებისგან შემდგარი გარჯიშები. ის ისეთი ლამაზი შესახედავი იყო, რომ მაყურებლები აღტაცებას ვერ ფარავდნენ — იყო ტაში და შეძახილები. გიორგი ნიკოლაძესთან ერთად მაშინ ქუთაისის ექვსივე ვანო მაჭავარიანი, ვანო ბერიძე, გიორგი მერკვილაძე, დავით ჯავრიშვილი, დავით ბაღრიძე, არჩილ ბაქრაძე, თამარ ნიკოლაძე, ქეთო ჯავარიძე (შემდეგში ცნობილი მომღერალი), კარო სეყვარელიძე, ჟორჯეტა, სუსანა და მედიკ ლამაზიძეები, თამარ ბერიშვილი, ელიო ლორთქიფანიძე, მარო მენთეშაშვილი, ანეტა ბაღრიძე, ელო ავალიშვილი და სხვები. მათი გამოხატვის შემდეგ ძალიან დაგვიყვანა გული იმაზე, რომ ჩვენ მოკლებული ვიყავით ტანვარჯიშის სიყვარულს და არც ის ვიცოდით, მომავალში რა და როგორ იქნებოდა. წარმოიდგინეთ ჩვენი სიბარული, როდესაც იმავე წლის სექტემბრიდან ჩვენი სასწავლებელშიც შემოიღეს ტანვარჯიშის გაკვეთილები და მასწავლებლად დაგვიანდნენ დავით ჯავრიშვილი. ჩვენი სასწავლო ცხრილში გვირგვინი იყო ორჯერ შეიტანეს ფინიკური კულტურის გაკვეთილები. გარჯიშის გაკვეთილებს ასე ვეძღვებოდა: ჯერ იყო მწყობარი, ძირითადი დღეები, ბრუნვები, გადაჯვადება, შემდეგ — ადგილზე სიარული, სირბილი, თავისუფალი მოძრაობები და მო-

ძრავი თამაშობანი. მოწვევები დიდი სიამოვნებით ვესწრებოდი გაკვეთილებს და ვასრულებდი ყოველგვარ ბრძანებებს. დავით ჯავრიშვილი, ანუ დათა, როგორც მას შინაურულად ვეძახოდი, საუკეთესო მოვარჯიშე იყო და ნიჭიერი ორგანიზატორიც. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ტანვარჯიშის საზოგადოების ჩამოყალიბებას, მრავალდ შემოიკრიბა ქუთაისის ახალგაზრდობა. ქალებიც და ვაჟებიც. მალე ჩვენი სასწავლებელში გამოიყო ერთი დიდი დარბაზი, დათამასწავლდნენ შეიძინა ყველა საჭირო საგარჯიშო იარაღი და შეუდგა მუშაობას. თავიდან ჩამოყალიბდა ოთხი სექცია — ვაჟები, ქალები, გოგონათა (ანუ კირათა) და ბიჭების. თავდაპირველად ზოგიერთმა მშობელმა ქალების საგარჯიშოდ ჩაწერაზე უარს განაცხადა, რადგან ქალებს ვარჯიშის დროს უსათუოდ მარვალი უნდა ჩაეცხათ (იმ დროს კი ქალებს მარვალიც საერთოდ არ ეცხათ). თანაც, მარვალჩაძეული ქალიშვილების აღმაფრთხილები ტრიალი ხანშიშესულ მშობლებს ძალიან არ მოსწონდათ. ჩვენი მშობლებს ჩვენი უარი არ უთქვამთ და აი, რატომ — ჩვენი მამა, რაჟდენ მოსემილი, ქუთაისის სემინარიელი, ფრიად განათლებული კაცი იყო — სისტემატურად აღვებნებდა თავს პრესას და ზოგჯერ თეთრონაც აქვეყნებდა წერილებს გაზეთებში. მამა იცნობდა ნიკო ნიკოლაძეს, დიდად აფასებდა მას და მის საქმიანობას და როდესაც ვაგო, რომ ნიკო ნიკოლაძის შვილები — გიორგი და თამარი — ტანვარჯიშის საზოგადოების საუკეთესო წევრები იყვნენ, სიამოვნებით დაგვთანხმდა და საჭირო ნივთებიც შეგვიძინა. ჩვენი ბუთი და-ძმა, ყველანი ჩვენი წევრები „შეგარდენში“. იმდროინდელი ჩვენი საგარჯიშო ფორმა ეხლანდელი საგანგებობის იყო — გვიცვა თეთრი, მოკლუსახელოებიანი ხალათი, გრძელი, მუხლის თავამდე მარვალი, რომელიც დაეცილი კაბასავით იყო შეკერილი, და შავი წინდები. წელზე გვეტყავი წითელი ქაბარი, ასე რომ შიშველი სხეული არ გვიჩანდა.

„შეგარდენში“ მე თავიდანვე დავწინაურდნენ, რადგან იმ დროისათვის იარაღებზე ძალიან კარგად ვვარჯიშობდი. ნიჭიერი მოვარჯიშე ვაჟები და ქალები შეგარჯიშობდნენ მწვრთნელებად შეგარჯიშა და ცალკე დაგვიწყო წევრობა. როდესაც სათანადოდ მოვამზადა, საწვრთნელი ჯგუფები ჩამაბარა. მე ერთი ქალები და ერთი გოგონათა ჯგუფი ჩამაბარა. საერთო გარჯიში და მწყობარი გარჯიშების მიყვალა, შემდეგ ჯგუფებულ და ვიყოფოდი და ყველა თავის ჯგუფს ავარჯიშებდა იარაღზე. ყოველ მეცადინეობაზე ჯგუფს ორთა — ბეჩენი და კიდევ იარაღებზე ვავარჯიშებდით, დათა ჩაატარებდა დამამშვიდებელ ვარჯიშებს და თქმულობდა.


„შეგარდენში“, მისი დაარსებიდან, სისტემატურად ვარჯიშობდნენ მარო ყუფარიძე, ნატო ცნობილი, ქეთო მოსემილი, თიკო წერეთელი (შემდგომში პროფესორი, აკადემიკოსი იურისტი), თამარიკო და მამიკო ხუნდაძეები (ქუთაისში ცნობილი პედაგოგის სილოვან ხუნდაძის ქალიშვილები), თინა ლალიძე (საქვეყნოდ ცნობილი ხილის წვენების წარმოების მემარტონის მიტროფანე ლალიძის ქალიშვილი), თამარ და ნუსკი ჩხენკელები (ცნობილი ექიმის მიხაკო ჩხენკელის შვილები), თამარ ზოლუქაძე (შემდეგში გამოჩენილი კინომასობი), თამარ ქვანია, თინა კაკაბაძე, ანეტა ბაღრიძე, ნინო ხარაძე და ბეგია სხვა. ვაჟებიდან დაწინაურდნენ კოკა მედიკარიანი, მიტრო მისაბერიძე, კოწო ბაღრიძე, გიორგი კოსტავა (შემდეგში მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი), პეტრე წულუკიძე (შემდეგში პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორი,

როცა გიორგი შავცაბაძე (პროფესორი, აკადემიკოსი), კარო კაკაბაძე, გრიშა ლეჟავა, მიშა ნუკუბიძე და სხვები. დროთა განმავლობაში ისინი თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად და აქ განაგრძობდნენ საქმიანობას. ჩვენი საზოგადოებას ჰქონდა ევლენისკის სექცია, რომელსაც ლალიკო ამბიანიძე და გრიშა ქომეთიანი ხელმძღვანელობდნენ. წევრები იყვნენ კაკო ჯავთარაძე, შალვა ბახტაძე, ბენო გლეგულაშვილი, მიშა განელიანი და სხვები. ისიც საკუთარი ევლენისკის სექციის მეთაური ხამთრის განმავლობაში თავგამოდებით ვვარჯიშობდით, რადგან ვახანგულზე დიდი შემაჯამებელი გამოხსვლა უნდა გავგეზობოდა. დადგა სიღრმისასწავლო 1 მისი. დემონსტრაციებზე პირველად გამოვიყვანეთ მთელი საზოგადოება, მისი ყველა სექციისა ძალიან ლამაზი და იმ დროისათვის უცხო სანახაობა გახლდათ. ვექს-ექსად ჩამწკრივდით, ერთიანად ჩაცმული, რიტმულად მავალი ვაჟები, ქალები, გოგონები და ბიჭები. წინ მიდიოდა სასულიერო ორგანიზაციის მის მიმავლობა ვაჟების კოლონა, რომელსაც დავით ჯავრიშვილი მეთაურობდა, ქალების კოლონის შემთავრობი მე, როგორც ქალთა განყოფილება, უფროსი. უნდა ითქვას, რომ რეპეტიციებზე დიდ ყურადღებას ვაქცევდით მწყობარს, ყველა მოვარჯიშეს უნდა სცოდნოდა მუსიკის ხმაზე სწორად ფეხის აწყობა. მართლაც ბევრი იმპროვიზირებდა მოვარჯიშეების რიტმის გამოშვებებზე და დავეყვანა — ყველანი ლამაზად, მწყობრად, სწორად დადიოდნენ. ბოლოს მოდიოდნენ ევლენისკის სექციის, რომელთაც ალმები მოჰქონდათ.

მთელი ქალაქი ქუჩებში გამოფინილიყო, ახალგაზრდობა კი სულ უკან დაგვედგა.

სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, მისის ბოლოს, მოვაწყვეთ დიდი ტანვარჯიშის გამოსვლა. პროგრამა ჩვენიც ისე შევადგინეთ, როგორც თბილისიდან ჩამოსულებს ჰქონდათ.

მთელი ქალაქი ქუჩებში გამოფინილიყო, ახალგაზრდობა კი სულ უკან დაგვედგა.




ჯერ გამიბარა ვაჟების თავისუფალი ვარჯიში, შემდეგ ქალებისა. მე რე ბიჭებმა წარმოადგინეს თავისუფალი ვარჯიში ცოხიბით, გოგონებმა კი — პატარა წითელი ალმებით. ბოლოს გამოვიტანეთ იარაღები და ჯგუფებმა ორქვებს, ღერებს და ტიპზე დაიწყეს ვარჯიში. ჩვენი ვაჟები შემდგომში ძალიან ძლიერი მოვარჯიშეები დადნენ, განსაკუთრებით მიტრო მისაბერიძე, კოკა მედიკარიანი, კოწო ბაღრიძე, გრიშა კოსტავა და სხვები. გამოხსვლა ჩინებულად ჩატარდა, ბევრი მაყურებელიც დაგვიყვარდა და ძალიან ნასიამოვნებდაც დარჩნენ.

იმ ზაფხულს გამოვედით აგრეთვე ხონში, დიდ ზინაში და ბათუმში. ბათუმში განსაკუთრებით დიდძალი ხალხი დაგვიყვარდა, რადგან აქაურებმა პირველად იხილეს ამგვარი სანახაობა — იქ ხომ ტანვარჯიშის საზოგადოება არ იყო. შეიძლება ითქვას, ბათუმელები ჩვენი გამოსვლით გაიკვირნენ ფინიკურულად.

ასე გაივლია 1919 წელი. 1920 წელს მერვე კლასში ვადავდი. იმ წლის თბილისში გაიხსნა ტანვარჯიშის მასწავლებელთა მისამართული საზოგადოება, რომელსაც მე, მარო ყუფარიძე და ნატო ცნობილი პედაგოგის მისის ბოლოს ჩამოვიდნენ თბილისში და გამოეცხადნენ კურსების სახელისთვის სპორტდარბაზში ტარდებოდა. იქვე, მეორე სართულზე, სამედიკო გამოვიყვანე ერთი დიდი ოთახი საცხოვრებლად. გვირდით, მეორე ოთახში ჩვენივე კურსებზე გამოვავანოდი ვაჟები ცხოვრობდნენ. მახსოვს, სენაკიდან მოვლინებული იყო ისაკი კიხიარია, ზესტაფონიანი — აბოლონ სოჯაკაძე, სხვა ადგილებიდან — სხვები. თბილისიდან კურსებზე ირიცხებოდნენ არჩილ ბაქრაძე, მიტრო ჩიკაიძე, მიშა ნათიძე, ვლადიმერ

პროკოფიევი, გოგი მერკვილაძე, დათა ჯავრიშვილი, ირაკლი ლორთქიფანიძე, ვანო მაჭავარიანი, ვანო კუკავაძე, გიგა ბერიძე, თამარ ბერიშვილი, ელიო ლორთქიფანიძე, ნინო ბერიძე, მარო მენთეშაშვილი და სხვები. გვასწავლიდნენ გიორგი ეგნატაშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ვანო (ეროვნებით ჩემი) და თამარ ნიკოლაძე. მეცადინეობა ტარდებოდა მუსიკის თანხლებით, რომელზე უკრავდა მაშინ სრულიად ახალგაზრდა ევგენი მიქელაძე. იგი მეტად საყვარელი ყმაწვილი იყო, კეთილშობილი, მხიარული, ახალისი. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ლამაზი, მომდიმარი სახე, როდესაც შესვენებებზე ქალები შემოვსვოდით და ვეზვევდოდით. „უჩინოა, დაუქარი, ცეკვა გვინდა“. ის მამინებე მოუკლებოდა როიალს, ჩვენი კი თავდავწყებით ვცემავდით. საერთო გარჯიში უდგებოდა ეგნატაშვილი, გიორგი ნიკოლაძე გვასწავლიდა „ზოგად თანწყობას“, ტერმინოლოგიას — იარაღებზე ვარჯიშების დასახელებას, თამარ ნიკოლაძე — მწყობარს. ჩემი ვახევი თავისუფალი მოძრაობების შედგენა და მათ მუსიკაზე აწყობას (თვლებს, ტაქტებს, რიტმებს). გვასწავლიდნენ აგრეთვე მოძრავ თამაშობებს ფინიკურულად გაკვეთილებისთვის.

კურსებზე მეგობრული სულისკვეთება სუფევდა, ერთმანეთში კარგი დამოკიდებულება გვქონდა, მე ყველაზე უმცროსი ვიყავი, 16 წელიც არ შემეწივებოდა, და ყველა „პატარა ქეთოს“ მეძახდა. როგორც ვთქვი, შესვენებებს მხიარულად ვატარებდით — გვიცხვოდით, ვმღეროდით, ვკითხულობდით ლექსებს. გიორგი ნიკოლაძის ძალიან უყვარდა ლექსების შეზომად წაითხვა და ბევრიც იცოდა, განსაკუთრებით ხშირად იხსენებდა ეგნატაშვილის ნაწარმოებს. მეც კარგი მეხსიერება მქონდა და ბევრი ლექსი ვიცოდი შეზომად. გიორგი რომ რომელიმე ლექსს წამოიწყებდა, მე ვავაგრძელებდი და დავამთავრებდი ხოლმე. ამისათვის



მან მე „ლექსთ“ განუთხვის წარჩინებული — შემაჩქვა და ასეთი წარწერით თავისი ფორტოსურათიც მანუქა. გიორგი ნიკოლაძე კარგი ხასიათის, მხიარული და ახალისი ადამიანი იყო. ჩვენ მასზე უმცროსები ვიყავით, მაგრამ ისე დაგვიხლოვდა, ასაკში ვერავითარ განსხვავებას ვერ ვგრძნობდით. ყოველ კვირას დადიოდით საექსკურსიო — ამა „გაფრენას“ ვეძახდით. ერთ კვირა დღეს მატარებლით გვემგზავრებდნენ ქუთაისში. იქ მივდიდით ჩეთო ჯავარიშვილის ოჯახში. შემდეგ კვირას წავიდით კოვარიში, სადაც გიორგი ნიკოლაძის უფროსი და რუსულანის ისვენებდა. ვიყავით აგრეთვე უძინო, დიდობში, ბეთანიაში, შავნაბადაზე, ერთი სიტყვით, თბილისის შემოგარენი მთლიანად დავათვალიერეთ.

კურსებზე მეცადინეობის პარალელურად ვეზავდებოდით საგარო გამოსვლებსავე, რომლებიც იმ დროში, სენაკი და დიდ ზინაში უნდა გავგეზობოდა. ამ გამოხსვლებს, ცხადია, ტანვარჯიშის პოპულარიზაციის მიზნითაც ვაწყობდით — მოსახლეობას საშუალება ეძლეოდა თავისი თვლით ეჩანა და გაეცნო ტანვარჯიშს. მართლაც, გამოხსვლებმა ტანვარჯიში ბევრი თავიანთმცემელი შექმინა. აგვისტოში, კურსების დამთავრების შემდეგ, რამდენიმე რეპეტიციის ჩატარებით და საკუთარი გოგონით ვავემგზავრებდით ფოთში. თან გვასვლიდა სასულიერო ორგანიზაციის წევრები.

ფოთში ნიკოლაძეებს ბევრი ნაცნობ-მეგობრები ჰყავდათ — მათი შამა, ნიკო ნიკოლაძე ხომ ერთ დროს ფოთის ქალაქის თავი იყო და ქალაქის კეთილშობილად ბევრი ეზრუნა. ყველანი, მოვარჯიშეებიც და სასულიერო ორგანიზაციის, პალში, ნიკოლაძის კოშკში მოგვათავსეს (ახლა იქ ნიკო ნიკოლაძის მუზეუმი). მეორე დღეს ვავამართეთ ტანვარჯიშის გამოსვლა. აუარება ხალხი დაგვიყვარდა. ქალები წითელი მარათებით ვას-


რულებდით ჩინური ილეთებით შედგენილ თავისუფალ ვარჯიშს, ვაქნებაც კი ჯერ თავისუფალი ვარჯიში შეასრულეს, შემდეგ საგარჯიშო იარაღებზე — ღერებზე, ორქვებზე და სახელურებზე. ტიპზე ივარჯიშეს. იარაღი „შეგარდენის“ იარაღები იყო. მათსავე წინამძღოლები — დათა, გარბაშვილი — შემდეგ ყველანი, თითქმის 150 კაცი, რესტორანში მდებარე იყო და საუკეთესო გაგვიმასპინძლდნენ.

ფოთიდან გადავიხიცივლეთ სენაკში, სადაც დიდი გამოსვლა ვავამართეთ. სენაკელებმა სასულიერო გვიმასპინძლეს და იქიდან სოფელ დიდი ჯინაშისკენ გავემართეთ. ამ დროს იყო საუკეთესო შესანიშნავი საგარჯიშო სახლი ჰქონდათ — 150 კაცი თავისუფლად მოგვითავსეს. თამარ და გიორგის ჯინაშიში ბევრი ნაცნობ-მეგობარი შევეგება. ივრძნობოდა, რომ სოფელელებს ისინი ძალიან უყვარდით. ირაკლი ლორთქიფანიძეც ჯინაშიში იყო და მისი ნახვისაც გაიხარეს ნათესავებმა, მეორე დღეს ვავამართეთ ტანვარჯიშის დილა. ბევრი მაყურებელი დაგვიყვარდა, მხოლოდ სოფლებიდანაც ჩამოვდნენ. ვამოსვლა კარგად ჩატარდა. მესამე დღეს ყველა თბილისში წამოვიდა ჩემს გარდა — მე იქიდან ხონში მიმდიმარე წასვლა იქმი მოხუცებული ბებია და ბაბუის სანახავად. გიორგი დამძირდა, მე წავიყვანო და ორი დღის შემდეგ, როდესაც თავისი მამული ყოველი კუთხე დამათვალიერებინა, შევაბე ცხენი, დამვა სამინარო გელო და ხონისკენ გავიყვანე. მე იქ დავარჩი, გიორგი კი მამინებე დამარტყდა ჯინაშიში.

1 სექტემბერს ქუთაისში ჩავიდი. უკვე მე-8 კლასში ვიყავი. ფინიკურულ კულტურის გაკვეთის ისე და ვით გარჯიშვით უდგებოდა. ზოგჯერ, როდესაც მას რაიმე გადაუდებელი საქმე გამოუჩნდებოდა, მის მაგივრად ვაგვეთავსებდნენ ვატიარებდით. იმ, ესე იგი, 1921 წლის განაფხულზეც ვავამართეთ დიდი საგარო გამოსვლა, რომელიც მასწავლებლად ჩატარდა და ხალხიც მრავლად დაესწრა.

1922 წლის დასაწყისში დავით ჯავრიშვილი სამუშაოდ ბათუმში გადავიდა. იქ მან საგარჯიშო საზოგადოება ჩამოაყალიბა. ქუთაისში მისი ნაცალი მე დამნიშნეს. დილით ფინიკურულ კულტურის გაკვეთილებს ვატარებდი, საღამოობით კი „შეგარდენში“ ქალებს ვავარჯიშებდი. საზოგადოების უფროსად დანიშნა მიხეილ გორგაძე, ქალთა განყოფილება კი მე ჩამაბარეს. გორგაძესთან მუშაობა ბევრად უფრო ძნელი და უინტერესო იყო, ვიდრე ჯავრიშვილთან. ეს არც იყო გასაკვირი — დათას ხომ სპეციალური განათლება ჰქონდა მიღებული და ძალიან მცოდნე ახალგაზრდა იყო.

იმ წელსაც, ვახანგულზე, ტრადიციული დიდი საჩვენებელი გამოხსვლა უნდა მოგვეწყობა. ქალებისთვის „შეგარდენში“ ძალიან ეფექტური, ლამაზი ნაკეთური ვარჯიშები. ბევრი მოხდენილი მოწვევით შევარჩიე. ვიშროილი და დამიფხვსდა. გამოხსვლა ძალიან კარგი გამოვიდა. ხელმძღვანელები ქვეყნის დიდი დარჩნენ და შეგავაქს. საერთოდ, მაშინდელი ხელისუფლებმა ჩვენს შიმართ ერთად ყურადღებები იყო — მიგვაძაგრეს დასურულ სასადილოებზე, გვირეკებდნენ ულუფას, შედავითან ფასებში ვედიდობდით საჭირო საგარჯიშო ნასაცემლს და ა. შ. 1922 წლის ვახანგულზე ჩატარებული დიდი გამოხსვლა ჩემი უკანასკნელი ღონისძიება იყო ქუთაისის ტანვარჯიშის საზოგადოებაში, რადგან სექტემბრიდან უკვე თბილისში მივდიოდი — უმაღლესი განათლების მისაღებად სამუშაოდ ვავახანგებდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩასარიცხად. 1922 წლის სექტემბერში ჩავიარე უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგზე (იმ დროს იყო ასეთი ფაკულტეტი). გამოცხადდა უნივერსიტეტში, ვადავითი (ცხრილი და ვავამართეთ გიორგი ეგნატაშვილთან თანაობით, საგარჯიშოდ რომელიმე საზოგადოებაზე მივმავარჯიშებ. მან გამაგზავნა მე-3 „სპარტაკში“. ვარჯიშები ტარდებოდა სანაბაროს ქუჩაზე მდებარე დარბაზში, რომელიც კარგად იყო აღჭურვილი, ჰქონდა ეზოც, სადაც ვამართავდით სპორტულ თამაშებს. საერთო მწყობრსა და თავისუფალ ვარჯიშებს ეგნატაშვილი უდგებოდა, ჩვენი კი მოვარჯიშეები, ქალთა ჯგუფებს ავლამით სათავეში. ვარჯიშის ბოლოს ვაჟები და ქალები ერთად ვატარებდით სპორტულ თამაშობებს.




პირველი და... უკანასკნელი

თბილისის პირველი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 1970 წელს ჩატარდა. მედლების კომპლექტი გათამაშდა 5 წონით კატეგორიაში. დამფუძნებელი ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: 63 კგ — ს. მელნიჩენკო, 70 კგ — კ. ნოვიკოვი, 80 კგ — ა. ციუხაჩენკო (ყველა — სსრ კავშირი), 93 კგ — ვ. პ. რუჟე (საფრანგეთი), მძიმე — ვ. საუნინი (სსრ კავშირი).

ერთი წლის შემდეგ წონათა რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა — დაემატა აბსოლუტური კატეგორია. თბილისის ტურნირის პირველი ჩემპიონი აბსოლუტურ კატეგორიაში ვ. კუზნეცოვი (სსრ კავშირი) გახდა. 1978 წლის შემდეგ წონითი კატეგორიები შეიცვალა. შესაბამისად გაიზარდა ჩემპიონთა რიცხვიც — სხვადასხვა ლირსების მედლებისთვის უკვე რვა წონის მოჭიდავეები იბრძოდნენ.

შარშან ჩვენი ტურნირი, გახსოვთ ალბათ, ზაფხულში მოეწყო (23-26 ივნისი). ძიუდოს მოყვარულებს ვთავაზობთ ამ შეჯიბრების პრიზიორთა ვინაობას.

- 60 კგ.** 1. ფიოდორ ლაზარენკო (სსრ კავშირი, კოტოვსკი), 2. ევგენ ასანო (აშშ), 3. ასლან გუჩელი (სსრ კავშირი, მაიკოპი) და ნიზომ ჰუსეინოვი (სსრ კავშირი, ბაქო).
- 65 კგ.** 1. სერგეი კოსმინინი (სსრ კავშირი, მინუსინსკი), 2. იური სოლოდოვი (სსრ კავშირი, ლენინგრადი), 3. ამილ აბდუნი (საფრანგეთი) და გურამ მოღებაძე (საქართველო, თბილისი).
- 71 კგ.** 1. გიორგი თენაძე (საქართველო, გორი), 2. სერგეი გორჩინევი (სსრ კავშირი, ჩელიაბინსკი), 3. ზურაბ თინათინი (საქართველო, თბილისი) და კოფო იყუტა (აშშ).
- 78 კგ.** 1. ლერი ნაკანი (საქართველო, თბილისი), 2. იური მერკულოვი (სსრ კავშირი, კურსკი), 3. რაშიდ იბრაჰიმოვი (სსრ კავშირი, მახაჩყალა) და ედი აკანოსი (იაპონია).
- 86 კგ.** 1. დავით ბავაური (საქართველო, თბილისი), 2. სერგეი ზლობინი (სსრ კავშირი, ქერჩი), 3. ალექსანდრე სივცევი (სსრ კავშირი, კურსკი) და მაჰომედ ტიულბაროვი (სსრ კავშირი, მაიკოპი).
- 95 კგ.** 1. ვიქტორ პოდუბნი (სსრ კავშირი, კრასნოიარსკი), 2. ევგენი პეჩუროვი (სსრ კავშირი, კოლომნა), 3. ვადიმ ვოინოვი (სსრ კავშირი, რიგა) და ასლან ნაურზოვი (სსრ კავშირი, ლვოვი).
- მძიმე.** 1. აკაი კობორძალიძე (საქართველო, ქუთაისი), 2. თომას მიულერი (გერმ.), 3. ალფრედო ფერნანდესი (ბრაზილია) და სერგეი კოსტოროვი (სსრ კავშირი, კუიბისევი).
- შენიშვნა:** შარშან ოლიმპიადის წელი იყო და თბილისის ტურნირი ოლიმპიური პროგრამით ჩატარდა. ამიტომ აბსოლუტურ კატეგორიაში პირველობა არ გათამაშდა.



უსსრთაშორისო მონაგარი

თბილისის ტურნირი დიდი პოპულარობით სარგებლობს უკუნოვანად შორის, ისინი ხალხისთვის ჩამოდიან ჩვენს ღვინაქალაქში და მონაგარებიც ასარებენ. ტურნირის ჩემპიონის სახელს სხვადასხვა დროს ატარებდნენ ტატიანის გამოჩენილი ოსტატები ი. იამასიტა და ს. ენდო, ფ. სახაბარა და ხ. ნინომია (ყველა — იაპონია), ვ. პ. რუჟე და მ. ალექსანდრი (ორივე — საფრანგეთი), დ. ლორენცი და ბ. ბეპი (ორივე — გერმ.) და ბეგვი კიდეც სხვა ენდო, მაგალითად, სამჯერ იყო ამ შეჯიბრების ჩემპიონი, იამასიტა კი 1978 წელს ორი უმაღლესი ჯილდო მოიპოვა მძიმე და აბსოლუტურ კატეგორიაში გამარჯვებისთვის.

ოქროს მედლები თბილისის ტურნირებში 93 ძიუდოისტს აქვს მიღებული, სულ კი 19 წლის მანძილზე 135 უმაღლესი ჯილდო გათამაშდა (ცხადია, ზოგი მოჭიდავეს ისინი რამდენჯერმე აქვს მიღებული). ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომლის მიხედვითაც დაადგენთ, რომელ ქვეყანას რამდენი ჩემპიონი ჰყავდა და რამდენი ოქროს მედალი აქვს მიღებული (თბილისის ტურნირში, ტრადიციულად, საქართველოს ცალკე გუნდი გამოკვეთეს).

ქვეყანა	ჩემპიონი	ოქროს მედალი
სსრ კავშირი	40	50
საქართველო	29	57
იაპონია	14	17
გერმ.	5	5
საფრანგეთი	4	5
კსდრ	1	1

ახლა კი თბილისის საერთაშორისო ტურნირების უცხოელ ჩემპიონთა სასაყდრე გავხილავთ:

იაპონია: ს. ენდო (ჩემპიონი იყო სამჯერ — 1972, 1973 და 1976 წლებში), ი. იამასიტა (1978 წელს ორი ოქროს მედალი მოიპოვა), ხ. ნინომია (1972), ხ. ტაგაე (1973), ა. იშიმაცუ (1974), ხ. უემურა (1974), ი. კურამოტი (1976), მ. ტაკიხასი (1978), ფ. სახაბარა (1979), ტ. მისიდა (1979), ხ. ხარაგუტი (1980), კ. ვატანაბე (1982), ხ. საიტო (1982), ს. ხოსოკავა (1983).

გერმ. ბ. ბეპი (1971), გ. კრიუგერი (1977), გ. პენკე (1977), დ. ლორენცი (1980), დ. ულში (1982).

საფრანგეთი: ვ. პ. რუჟე (ჩემპიონი გახდა ორჯერ — 1970 და 1972 წლებში), გ. დელვიგი (1982), ფ. კანიუ (1985), მ. ალექსანდრი (1987).

კსდრ: პაკ ჩონ კი (1974).

საპარტხვალის ძიუდოისტები თბილისის საერთაშორისო ტურნირებში, ტრადიციულად, წარმატებით ასპარეზობენ და ეს გასაკვირი არც უნდა იყოს. მით უფრო, რომ ბევრმა, მომავალში ცნობილმა სპორტსმენმა, პირველ გამარჯვებას სწორედ ამ შეჯიბრებაში მიიღწია და აქედან გაიკაფა გზა დიდ სარბიელზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტურნირში პირველი ადგილი რუსულბლიკის 29 ძიუდოისტს აქვს მოპოვებული, მათ სხვადასხვა დროს მიღებული აქვთ 57 ოქროს მედალი, რაც ამ შეჯიბრებისთვის ჯერჯერობით საბრუნდო მაჩვენებელია. გთავაზობთ ჩვენი ძიუდოისტების წარმატებათა ნუსხას:

1. რ. ხარშილაძე (80 და 93 კგ) — 6
2. ა. კობორძალიძე (+95 და აბსოლუტ.) — 6
3. მ. ბერუაშვილი (95, +95 და აბს.) — 4
4. შ. ჩოჩიშვილი (93 და აბს.) — 3
5. გ. გოგოლაური (80 კგ) — 2
6. ა. ოზგაძე (68 კგ) — 2
7. ქ. ნიუარაძე (+93 და აბს.) — 2
8. თ. ხუბულაური (95 და აბს.) — 2
9. ა. წიკლაური (78 კგ) — 2
10. დ. ბოდაველი (86 კგ) — 2
11. თ. კარიაული (71 კგ) — 2
12. გ. გოგოლაური (71 კგ) — 2
13. რ. მარგიანი (65 კგ) — 2
14. შ. ხაბარელი (78 კგ) — 2
15. გ. თენაძე (71 კგ) — 2
16. კ. კურტანიძე (95 კგ) — 2
17. ლ. ნაკანი (71 კგ) — 2
18. ა. მარტყოფიშვილი (68 კგ) — 1
19. შ. ფიცხელაური (68 კგ) — 1
20. ა. მუზაევი (98 კგ) — 1
21. ა. ბარკალაევი (84 კგ) — 1
22. ბ. გუგუა (71 კგ) — 1
23. საქართველო (71 კგ) — 1
24. მ. ალბორიშვილი (78 კგ) — 1
25. კ. ლოლაშვილი (+95 კგ) — 1
26. რ. მარგველანი (65 კგ) — 1
27. რ. ლომთაძე (60 კგ) — 1
28. ქ. შველიშვილი (86 კგ) — 1
29. დ. ბავაური (86 კგ) — 1

საერთაშორისო სარბიელზე

საპარტხვალის ძიუდოისტები საერთაშორისო სარბიელზე 1962 წელს გავიდნენ. ორმა ჩვენმა ფაქტობრივმა ანზორ კინაძემ და ანზორ ჩიბროჭავიძემ ესენში, ეგრობის ჩემპიონატზე პირველი ადგილი მოიპოვეს. მას შემდეგ ქართველი ძიუდოისტების გარეშე თითქმის არც ერთი ეგრობისა და მსოფლიოს პირველობა, ოლიმპიური ტურნირი არ ჩატარებულა.

გთავაზობთ საქართველოს სპორტსმენთა მიერ დაკავებულ სპარტხვალ ადგილებს აღნიშნულ შეჯიბრებებში.

სპარტხვალის ადგილები	თ. ხუბულაური	ქ. ნიუარაძე	ფ. მარტყოფიშვილი	რ. მარტყოფიშვილი	დ. ბოდაველი	კ. კურტანიძე	ა. ტოტიკაშვილი	შ. ჩოჩიშვილი	შ. ფიცხელაური	შ. ხაბარელი	გ. გოგოლაური	ფ. ჩიკვალიძე	ა. კობორძალიძე	ო. ნათელაშვილი	ა. ბარკალაევი	ო. ზურაბიანი	რ. ხარშილაძე	ა. მუზაევი
I	2	1	—	—	—	—	—	3	1	—	—	—	—	—	—	—	—	—
II	1	1	3	—	—	—	—	—	—	—	2	2	1	1	—	—	—	—
III	1	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

ოლიმპიური ტურნირები

შ. ჩოჩიშვილი	1	—	1
შ. ხაბარელი	1	—	—
თ. ხუბულაური	—	1	—
რ. ხარშილაძე	—	1	—
ა. კინაძე	—	—	1
ფ. ჩიკვალიძე	—	—	1
გ. ონაშვილი	—	—	1
ა. ტოტიკაშვილი	—	—	1
გ. თენაძე	—	—	1

ევროპის ჩემპიონატები

	I	II	III
ა. კინაძე	4	2	—
ა. კობორძალიძე	2	3	1
გ. ონაშვილი	2	3	1

მსოფლიო ჩემპიონატები

თ. ხუბულაური	2	—	—
--------------	---	---	---

სპეციალური გიგანტი შეჯიბრებას ჰყავს თავისი რეკორდსმენი, გამორჩეული სპორტსმენი. თბილისის საერთაშორისო ტურნირის რეკორდსმენებად ქართველი ძიუდოისტები რამაზ ხარშილაძე და აკაი კობორძალიძე უნდა ჩავთვალოთ, რომლებმაც უმაღლესი ჯილდო 6-ჯერ მოიპოვეს. აი როგორ გამოიყურება უძლიერესი სია ოქროს მედლების რაოდენობით:

რ. ხარშილაძე (საქართველო) — 6
 ა. კობორძალიძე (საქართველო) — 6
 ა. ციუხაჩენკო (სსრ კავშირი) — 4
 მ. ბერუაშვილი (საქართველო) — 4
 ხ. ენდო (იაპონია) — 3
 შ. ჩოჩიშვილი (საქართველო) — 3
 გ. ვერინევი (სსრ კავშირი) — 3

კიდევ 21 ძიუდოისტი ოქროს მედლებს ორ-ორჯერ ფლობდა, დანარჩენები კი თითოჯერ.

უფრო სუსტად ვიდრე მოველოდით

სოფია. ძიუდოისტ ქალთა და ვაჟთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა მიიღეს 21 ქვეყნის ათლეტებმა. საბჭოთა კავშირი ამ შეჯიბრებაში ახალგაზრდა სპორტსმენებით იყო წარმოდგენილი.

საბჭოთა ძიუდოისტებს არც ქალთა და არც ვაჟთა ტურნირში თავი არაფრით გამოუჩენიათ. ქალებში ყველაზე დიდი წარმატებას ლიპეცკელმა ირინა ბარაბულიანამ (66 კგ) მიიღწია. ფინალი პანამერიკული თამაშების პრიზიორი ოდალინ რევესთან (კუბა) წააგო და მეორე ადგილზე დარჩა. ამ წონაში მესამე ადგილი ხვდა გალინა კოტელნიკოვას. ბრინჯაოს პრიზები მიიღეს, აგრეთვე, ძერაინსკელმა ტატიანა კუვინოვამ (48 კგ) და ელენა მოროზოვამ (52 კგ).

ვაჟთა შეჯიბრებაში ერთადერთი საპრიზო ადგილი რიგგულა იან დარზნიეკსმა (მძიმე წონა) მოიპოვა. ფინალში იგი თომას მიულერთან (გერმ.) დამარცხდა და მეორე ადგილზე დარჩა (საქართველოს ძიუდოისტები ამ ტურნირში არ მონაწილეობდნენ).



მასპინძლები — უმადლებოდ

ბათი გუნდის 168 ძიუდოისტმა (1973-1975 წ.წ. დაბადებულნი) მიიღო მონაწილეობა რუსულბლიკურ პირად პირველობაში, რომელსაც გურჯაანმა უმასპინძლა. გურჯაანელმა გულბოძიანმა შეხვდნენ ნორჩ მოჭიდავეებს, ოღონდ ეგაა, დარბაზში ციოდა.

ყველაზე კარგად ახმეტის პროფკავშირთა სპეციალიზებული სკოლის მოჭიდავეებმა იასარებუხს. პირველ დღეს ორი მათგანი — ა. ნავალოვსკი (49 კგ) და ა. აბრაძე

შვილი (53) — ჩემპიონები გახდნენ. მეორე დღეს იგივე წარმატება გაიმეორა ნ. კიშნურმა, რომელიც უძლიერესი იყო 90 კგ წონით კატეგორიაში. გავაცნობთ სხვა გამარჯვებულებსაც: 57 კგ. ვ. მახათაძე (ზესტაფონი); 62. მ. ქვარიაანი (თბილისი); 68. ა. ღვინიაშვილი (თბილისი); 75. გ. გაზდელიანი (ლენტეხი); 88. ზ. გოლეთიანი (ქუთაისი); +90. ზ. ტვილიანი (ლენტეხი).

ალსანიშნავია, რომ შეჯიბრების

მასპინძლებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი — ვერც ერთი გურჯაანელი სპორტსმენი ვერ მოხვდა პირველ ოთხეულში. ეს რომ გამოჩანოს შემთხვევად იყოს, მასზე არც გავამახვილებდით ყურადღებას, მაგრამ კარგა ხანია ამ რაიონის მოჭიდავეები უფერულად გამოდიან სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე. არადა ჭიდაობის ჯგუფები და ბავშები რაიონში არც ისე ცოტაა. ალბათ დროა, გურჯაანის სპორტის მესვეურებმა სერიოზული დისკუსიები გამოიტანონ.

ალექსანდრე პაპოშვილი.
 გურჯაანი.

„ბილა“ უკეთ მოეხსახურება

არის თუ არა გულური თბილისის თანამგზავრი ზამთრის კურორტი? თუ გეოგრაფიულ მდებარეობას მივიღებთ მხედველობაში, ამ შეკითხვას, ცხადია, შეიძლება დადებითად ვუპასუხოთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არის საჭირო. პრობლემები წლიდან წლამდე გრძელდება, პირველ ყოვლისა მხედველობაში გვაქვს მომსახურების სფერო. გასულ წლებში ვიწვევთ გულურს და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რა დიდ ინტერესს იჩენენ თბილისელები მისდამი, აქ კი... კვლავ მოუწესრიგებელია დამის გათვლის, სახელმწიფოებრივი ყველის, სპეციალური საორტულ ინვენტარის გაქირავების საკითხები. აი, ამ ნაკლებობების მოუგვარებლობის გა-

მო, იმ დღეს, ამოდიოდნენ და უმაღლეს უკან ბრუნდებოდნენ დამსვენებლები. სასტუმროები არ მუშაობენ. იქვე შეგორდება, რომ სასტუმრო „ბილა“ ცოლგროტორუბისთვის გადაუციათ. ეს უსკვიმედს ჰკავს. ვესაუბრებით სასტუმროს დირექტორს, აკაკი დოლიძეს.

— „ბილა“ ახლა ჩვენ, კოორპორირებმა ჩავიბარეთ (თავმჯდომარე ლავით ჩოფიკაშვილი). უამრავი ხარვეზი იყო გამოსასწორებელი. პირველი რიგის სამუშაოები უკვე ჩავატარეთ და მეზუთედღეა, რაც სტუმრებს ეივებში, ძირითადად საორტულ ორგანიზაციებს და ორგანიზებულ ტურისტებს ვეძახებთ — ახლოს დირექტორი.

© რამდენ სტუმარს მოემსახურებთ ერთდროულად?

— 80-ს, თუ გაქირდა ორი ათეული ადგილის დამატებაც შეგიძლია.

© შაბათს და კვირას ამოხულდამსვენებლებს თუ მოემსახურებთ?


— რა თქმა უნდა.

© რა მომსახურებას სთავაზობთ თქვენს სტუმრებს?

— გვაქვს სასადილო, სადაც შეიძლება შენის შეკვეთა ინდივიდუალურად, მუშაობს ბარი, არის ვიდეო, საუნა, კულტურული ღონისძიებებისთვის გამოვავით სააქტო დარბაზი, ახლო მომავალში გაეხსნით საორტული ინვენტარის გამჭირავებელ პუნქტს. გვაქვს საკურო აუზი, საორტული მოედნები, დავგეგმავთ ექსკურსიებს, გვეყოლება ცხენები, ერთი სიტყვით, შეგვიძლია ყოველმხრივ დაგვამყავილოთ სტუმართა მოთხოვნებზე, შევუქმნათ მათ კომფორტი — ესაა კოორპორაციის უპირატესობა.

© საფასურზე რას ვეძებთ?

— დამის გათვლა 7-დან 9 მანეთამდე ეღირება. დანარჩენი, მათ შორის კვება, თვით დამსვენებელთა გემოვნებაზეა. ისე, უნდა გითხრათ, ჩვენი კვების ბლოკი ძირითადად ბაზრის პროდუქტით მარაგდება, ასე რომ, კვების ღირებულებას ბაზრის ფასები გვიკარნახებს. მომავალში განზრახული გვაქვს თბილისში გავყიდოთ საგზურები, რომლის შექმნა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. ეს სასტუმროს სრულად დირექტორის გარანტიის მოგვიცხადებს.





© რამდენი თანამშრომელი ემსახურება თქვენს სასტუმროს?

— გაცილებით ნაკლები, ვიდრე ეს ადრე იყო. ჩვენთან იმუშავენს იმდენი პერსონალი, რამდენიც ეს იმუშაობს თბილისში. მთავარია, მომსახურების ხარისხი.

© მომავალ შაბათ-კვირას შეიძლება მოგაკითხონ დამსვენებლებმა?

— შეიძლება! აქი გითხარით, სულ რამდენიმე დღეა დავიწყეთ მუშაობა, ერთი კვირის თავზე უკეთ ვიქნებით მომსახურებულნი.



პეორა ტაიფი გაღანქდა

21 თებერვალს გაიმართა უმაღლესი-ლიგის კალათბურთულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი.

მოსკოვი. პირველი ტაიმის მიხედვით ადვილობრივი „დინამოს“ და დონეცის „შახტიორის“ შეხვედრაში ქოთგარი უპირატესობას სტუმრებში ფლობდნენ. ყოველ შემთხვევაში 20-წუთიანი ბროლის შემდეგ დონეცელი კალათბურთელები 4 ქულით იყვნენ დაწინაურებული (47:43), მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მოსკოვის „დინამომ“ შესვენების შემდეგ ხელთ იკვლი ინტენსივა და ბროლა ლიგაიურ ფინალამდე მიიყვანა — 94:85.

ტალინი. აი „კალევისა“ და ალმა-ათის არმიელთა შეხვედრის შედეგი, რამდენადმე მაინც მოულოდნელი გახლდათ, ვინაიდან გამარჯვებს სტუმრებმა 81:70 (36:60). როცა ვამბობთ შედეგი მოულოდნელი იყო, ბუნებრივია, ორ გარემოებას გვულისხმობთ, იმას, რომ „კალევი“ შინ თამაშობდა და იმასაც, რომ ალმა-ათის გუნდი, რაც უნდა იყოს, ამ ჩემპიონატის დებიუტანტი. მაგრამ დებიუტანტმა, გათამაშების სტრატეგეი საკმაოდ „ბასრი კლანჭები“ გვიჩვენა და მისი წარმატება გავკვირებას უკვე აღარც იწვევს.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 თებერვლისთვის

„დინამო“ (მ.)	31	20	11	51
ახკ (ალმა-ათა)	27	18	9	45
ცხკ	25	18	7	48
„კალევი“ (ტალ.)	24	14	15	48
„სოლიგორ.“ (კაუნ.)	20	19	1	39
„ხტარია“ (ვილ.)	26	12	14	38
„ხტარიატ.“ (ქ.)	20	17	8	37
„დინამო“ (თბ.)	26	8	18	84
„ხპარტ.“ (ლენ.)	26	6	20	82
ვეფ (რიგა)	27	4	23	31
რტი (მინსკი)	22	8	14	30
„შახტ.“ (დონ.)	22	7	15	29

წალაზურთელთა საკავშირო პირველობა © I ლიგა

მინსკალი... მინსკალთა წინააღმდეგ

თბილისსა და მარიუპოლში (ყოფილი ჟდანოვი) დაიწყო I ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მეორე ტური. თბილისში საასპარეზოდ თავი მოიყარეს ყაზანის „სინთეზის“, კიშინიოვის უმაღლესი საორტული დაოსტატების რესპუბლიკური საორტსკოლის, კაუნასის „ბანგას“, მოსკოვის „მიაიკის“, მინსკის ასკ-ისა და მინსკა თბილისელთა თანაკლებლებმა.

თბილისი. ვაკის საცურაო აუზი. ასკ (თბილისი) — ასკ (მინსკი) 7:7 (2:2, 1:2, 2:1, 2:2).

თბილისი: გორგაძე, კოლუაშვილი, ანდრევი, დემეტრაშვილი, ქათამაშვილი, კვარაცხელი, წულაძე, ფილოლოვი, ფანსლოძე, მოხარევი, ბობრული, მარგველი.

მინსკი: ვანდა, შუშვეინი, ტრეტიაკოვი, სასინოვიჩი, ბუტკოვი, შვაბი, კარატკევიჩი; დედუნა, სკურატკოვიჩი, შელკოვსკი, ჟილკოვსკი, პიკარასი.

როგორც გულშემატკივრებმა იციან, ჩვენმა არმიელებმა ლიგაში გამოსვლის საშუალება ისტორიის მანძილზე წლეულს I ტური ისე დაიწყეს, როგორც არასდროს და 4 ქულა მოაგროვეს. ამან, რა თქმა უნდა, II ტურის წინ ოპტიმიზმის საფუძველი გავვიჩინა, მით უმეტეს,

რომ თბილისელები მასპინძლის რეზივში გვევლინებოდნენ. გუნდის წევრებიცა და გულშემატკივრებიც იმისი იმედით აღივსნენ, რომ თბილისელები შინ გამართულ შეხვედრებში 6 ქულას თუ ვერა, 5-ს მაინც აიღებდნენ.

ყველაზე მწველი მატჩი მათ მინსკელ თანაკლებლებთან ელოდათ. მინსკელი წყალბურთელები სხვადასხვა წლებში უმაღლეს ლიგაში გამოდიოდნენ. ისინი შარშან უძლიერესთა შორის იყვნენ, მაგრამ ლიგის დატოვება მიუხედავ, თუმცა, ეს გუნდი ყველას კვლავ უმაღლეს ლიგაში გადასვლის მთავარ ფავორიტად მიიჩნია.

საინტერესოა, რომ ამ გუნდში კვლავ გამოდის სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი წევრი ტრეტიაკოვი, რომელიც, მიუხედავად თავისი ასაკისა (33 წლისა), კვლავ გუნდის ლიდერად რჩება.

ისიც საინტერესოა, რომ თბილისელთა რიგებში წლეულს პირველად თამაშობს მინსკის ასკ-ის ყოფილი წევრი მოხარევი, რომელსაც თავისი ძველი გუნდის ძირითადი შემადგენლობის ბედს იმეფათად ანდობდნენ.

ახლა მოხარევა მინსკელთა წინააღმდეგ დიდი თავგამოდებით იბრძოლა და ბურთიც გაიტანა.

შეხვედრა თანაბარი ბრძოლით აღიზიანა. თუმცა, მასპინძლები ერთ-ერთად მდებარეობის როლში იყვნენ და მხოლოდ ორჯერ დაწინაურდნენ მინიმალური ანგარიშით.

ამ შეხვედრაში ჩვენი გუნდი დამარცხებას გადაარჩინა კოლუაშვილმა, რომელმაც მატჩის დასასრულს მესამე ბურთი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, საქმე აქამდე ალბათ არ მივიდოდა, მასპინძლებს კარის აღების რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა ხელიდან რომ არ გაეშვათ.

მეორე ტურის პირველი დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: კიშინიოვის უმაღლესი საორტული დაოსტატების რესპუბლიკური საორტსკოლის გუნდი — „ბანგა“ 11:8, „სინთეზი“ — „მიაიკი“ 10:6.

გუნდში თბილისელები დამარცხდნენ ყაზანელ წყალბურთელებთან 8:10. მინსკელებმა „სლიფს“ კუნასელებს 11:7, ხოლო კიშინიოველთა და მოსკოველთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ 8:8.

ნაომდეგ დიდი თავგამოდებით იბრძოლა და ბურთიც გაიტანა.

შეხვედრა თანაბარი ბრძოლით აღიზიანა. თუმცა, მასპინძლები ერთ-ერთად მდებარეობის როლში იყვნენ და მხოლოდ ორჯერ დაწინაურდნენ მინიმალური ანგარიშით.

ამ შეხვედრაში ჩვენი გუნდი დამარცხებას გადაარჩინა კოლუაშვილმა, რომელმაც მატჩის დასასრულს მესამე ბურთი გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, საქმე აქამდე ალბათ არ მივიდოდა, მასპინძლებს კარის აღების რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა ხელიდან რომ არ გაეშვათ.

მეორე ტურის პირველი დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: კიშინიოვის უმაღლესი საორტული დაოსტატების რესპუბლიკური საორტსკოლის გუნდი — „ბანგა“ 11:8, „სინთეზი“ — „მიაიკი“ 10:6.

გუნდში თბილისელები დამარცხდნენ ყაზანელ წყალბურთელებთან 8:10. მინსკელებმა „სლიფს“ კუნასელებს 11:7, ხოლო კიშინიოველთა და მოსკოველთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ 8:8.

თანამედროვე ხუთხიდალთა ჯამთრის ჩემპიონატზე

კიშინიო დამთავრდა სსრ კავშირის ჯამთრის ჩემპიონატი თანამედროვე ხუთხიდალში. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. ტრობინი (როსტოვი) — 5716 ქულა, 2. ო. პლაკსინი (კიევი) — 5677, 3. ე. ზენოვა (მოსკოვის ოლქი) — 5632. შეჯიბრება-

ნაწილად: 1. ა. ტრობინი (როსტოვი) — 5716 ქულა, 2. ო. პლაკსინი (კიევი) — 5677, 3. ე. ზენოვა (მოსკოვის ოლქი) — 5632. შეჯიბრება-

„სპორტპროგნოზი“, მათეა ტირაშის პრეზრამა (4-5 მარტი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი წალაზურთში (უმაღლესი ლიგა)

1. „დინამო“ (ალმა-ათა) — ცხკ ვეფ ქ. კიევიში	4.III	20	30	50
2. „დინამო“ (ლვოვი) — კჰვ (ბაქო) ქ. თბილისი	4.III	40	30	30
3. „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) ქ. თბილისი	4.III	40	20	40

სსრ კავშირის ჩემპიონატი ზურთიან ვოკაიში (უმაღლესი ლიგა)

4. „ხიბსლეშაში“ (ნოვოხიბინსკი) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი)	5.III	30	10	60
5. „დინამო“ (ალმა-ათა) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი)	5.III	60	10	30
6. ახკ (ხაბაროვსკი) — „დინამო“ (მოსკოვი)	5.III	40	30	30

სსრპ საზოგადოებრივი თანხის გათამაშება

7. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „უნიტი“ (ლენინგრადი)	4.III	20	40	40
8. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)	4.III	20	60	20
9. „დინამო“ (კიევი) — „ჩერნომორეცი“ (ლოდესა)	4.III	40	40	20
10. პაშირი“ (დუშანბე) — „უალგირისი“ (ვილნიუსი)	4.III	20	40	40
11. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „არარატი“ (ერევანი)	5.III	50	40	10
12. „დინამო“ (მოსკოვი) — „ხპარტაი“ (მოსკოვი)	5.III	40	20	40
13. „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი)	5.III	30	50	20

6. ი. დოლიძე
ჩემპიონი

გაიარაღებომა შრომის. ომისა და სპორტის მატჩიანი. 10-იანი წლების უარყოფითი სატანადგომი სკოლის წარმომადგენელი, სსრ კავშირის პირველობის პრიზიორი, რესპუბლიკური კატეგორიის მხაკი ნიკოლოზ იხილორეს ძე დოლიძე.

1924 წელს 14 წლისამ დაიწყო შეცადინებომა ტანვარჯიშში. იყო იმათ შორის, ვინც პირველებმა დამთავრეს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნ. დოლიძე, გარდა იმისა, რომ თავად წარმატებით გამოდიოდა საორტულ სარბიულზე, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეს უძღვებოდა აღმინისტრაციულ ორგანოებში, არაერთგზის გაუმარჯვნია სასწრაფო საკავშირო შეჯიბრებებში. ერთხანს მწვრთნელადაც მუშაობდა. სპორტის ოსტატის წოდება 1938 წელს მოიპოვა, როცა სსრ კავშირის პირველობის მესამე პრიზიორი გახდა. ომამდე იყო აგრეთვე სამედიცინო ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელი.

1941 წლიდან მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. მიმედ დიდა და 1943 წელს შინ იხილოდი დაბრუნდა. შემდეგ მუშაობდა მილიციის სამმართველოში — ხათვეში ედგა ახალგაზრდა კადრების ფიზიკურ მომზადებას, იყო მილიციის მაიორი.

პენსიაზე გასვლის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს საქმიანობაში.

მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ტანვარჯიშის რეპეტიტორი. ქარი ვაქცინაციის, სპორტის ვეტერანთა რეპეტიტორი საბჭოთა საბჭო.

მწვრთნელთა თამბირო

21 თებერვალს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო პირველობის მონაწილეთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი გუნდების მწვრთნელები, მსაჯები, საქართველოს საორტსკოლის ფეხბურთის სამმართველოსა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, სპეციალისტები.

თათბირზე განიხილეს შარშანდელი სეზონის შედეგები, ილაპარაკეს იმ სახალეებზე, რომლებიც წლეულსაა გათვალისწინებული რესპუბლიკის საფეხბურთო შეჯიბრებებში.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. მახარაძემ.

ნაკრების შეგადგენლობა

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა 21 თებერვალს სოფიაში ამხანაგური სეერთაშორისო მატჩი გამართა ბულგარეთის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

ანგარიში 22-ე წუთზე გახსნეს მასპინძლებმა (კოსტანინოვი), 12 წუთის შემდეგ საბასუნო ბურთი გაიტანა ბოროლიუკმა, შესვენების შემდეგ კი, 55-ე წუთზე, რაცის გოლმა მატჩის ბედი სტუმრების სასარგებლოდ გადაწყვიტა — 2:1.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა: ხარინი (ჩანოვი), გორლუკოვიჩი, (ბელანოვი), ალენიკოვი. კუნეცოვი, დემიანენკო, რაცი, იარეჩიუკი (ჩერეპნეცი), ლიტოვჩენკო, ბოროლიუკი, პროტასოვი, ზიგანტოვიჩი (კალაიჩევი).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩემპიონის მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამედრო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩემპიონის მისამართი:
380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იხილება ოფიტიური წესით საგაზეთო კორპუსში: ზოზარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07124